ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

სხდომის ოქმი №1

ქ. თბილისი 21.02.2014

სხდომას ესწრებოდნენ:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

ლაშა მკურნალიძე - ასოციაცია „სკოლა - ოჯახი - საზოგადოების“ აღმასრულებელი დირექტორი; საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

ნატო ქობულაძე - ინკლუზიური განათლების ექსპერტი, საბჭოს მდივანი;

მაია მაღლაკელიძე - საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის წევრი;

თამარ მოსიაშვილი - სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტის განათლების პროგრამის მენეჯერი;

პავლე თვალიაშვილი - ზოგადი განათლების ექსპერტი;

თინათინ ცერცვაძე - დებატებისა და განათლების ინსტიტუტის აღმასრულებელი დირექტორი;

ზვიად მიმინოშვილი - ზოგადი განათლების ექსპერტი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:

ნანა ჭიღლაძე - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსი;
კონსტანტინე ჩოკორაია - ავტორიზაციის სამმართველოს უფროსი;
ნინო ფურცხვანიძე - აკრედიტაციის სამმართველოს კოორდინატორი;
ლაშა მარგიშვილი - ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორი;
გიორგი ელისაბედაშვილი - მონიტორინგის სამსახურის უფროსი;
იოსებ კელენჯერიძე - მონიტორინგის სამსახურის საქმისმწარმოებელი;
გაბრიელ პოსოხოვი - გარე მონიტორინგის სამმართველოს კოორდინატორი;
რამაზ გიუნაშვილი - გარე მონიტორინგის სამმართველოს კოორდინატორი.

ავტორიზაციის მაძიებელი ზოგადსაგანმანათებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

1. ისმაილ ოზქან - შპს - ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულებების ქ. მარნეულის აღმაშენებლის სახელობის სკოლა–ლიცეუმის დირექტორი;
2. ქეთევან ჭანტურია - შპს - ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულებების ქ. მარნეულის აღმაშენებლის სახელობის სკოლა–ლიცეუმის დირექტორის მოადგილე;
3. თამაზ ნაცვლიშვილი - შპს - მჭევრის დამოუკიდებელი ბიზნეს სკოლის გენერალური მენეჯერი;
4. ლია გელენიძე - შპს - მჭევრის დამოუკიდებელი ბიზნეს სკოლის აღმასრულებელი მენეჯერი;
5. მადლენა მახარაძე - შპს - მრავალდარგობრივი გიმნაზია იბერიას დირექტორი;
6. შპს - ცოდნის წარმომადგენელი;

7. ზაზა ჭანტურია - შპს - ფოთის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის დირექტორი;
8. ლევან გიორგაძე - ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს ლანჩხუთის წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის სასულიერო გიმნაზიის წარმომადგენელი;
9. მერაბ ფირცხალაიშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს ლანჩხუთის წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის სასულიერო გიმნაზიის წარმომადგენელი.

ავტორიზაციის ექსპერტები:
მადონა ჩიხაშვილი - ავტორიზაციის ექსპერტი;
ნოდარ ანგურიძე - ავტორიზაციის ექსპერტი.

თავმჯდომარემ სხდომა გახსნა 16:20 სთ-ზე და შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა. თავმჯდომარემ დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. შპს - ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულებების ქ. მარნეულის აღმაშენებლის სახელობის სკოლა–ლიცეუმისათვის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა;
2. შპს - მჭევრის დამოუკიდებელი ბიზნეს სკოლისათვის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა;
3. შპს - მჭევრის დამოუკიდებელ ბიზნეს სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
4. შპს - მრავალდარგობრივი გიმნაზია იბერიაში (ს/კ №245437772) განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
5. შპს - ცოდნაში (ს/კ №229722324) განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
6. შპს - ფოთის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლაში (ს/კ №215128644) განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
7. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს ლანჩხუთის წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის სასულიერო გიმნაზიაში (ს/კ №233734082) განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
8. შპს - სპექტრი 95 ინგლისური ენის გაძლიერებული სწავლების დამოულიდებელ სკოლაში (ს/კ №212694645) განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;

9. შპს - ეროვნულ სკოლა გიმნაზიაში (ს/კ №212836573) განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
10. შპს - ქუთაისის ეროვნულ სასწავლო უნივერსიტეტთან არსებულ კერძო სკოლაში (ს/კ №412691626) განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ბევრი საკითხი იყო განსახილველი და იმ შემთხვევაში, თუ გამოიკვეთებოდა საკითხის სიღრმისეულად განხილვის საჭიროება, მოხდებოდა საკითხის განხილვის გადადება მომხედვნო სხდომისათვის.

1. **შპს - ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულებების ქ. მარნეულის აღმაშენებლის სახელობის სკოლა–ლიცეუმისათვის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა**

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა შპს - ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულებების ქ. მარნეულის აღმაშენებლის სახელობის სკოლა–ლიცეუმში ვიზიტის განმახორციელებელი საექსპერტო ჯგუფის წევრმა, მადონა ჩიხაშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ 2013 წლის 30 სექტემბერს, ქ. მარნეულში, მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესაძლებლობის შემოწმების მიზნით, განხორციელდა ვიზიტი აღნიშნულ კერძო სკოლაში. მისი განცხადებით, ვიზიტის დროს შემოწმდა დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური და საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი ადამიანური რესურსების შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან. ამასთან, შეფასდა საგანმანათლებლო პროგრამების ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან შესაბამისობაც. ექსპერტმა საბჭოს წევრებს გააცნო დასკვმაში დაფიქსირებული ფაქტობრივი გარემოებები.

სხდომის თავმდჯომარემ, ლაშა მკურნალიძემ, დააზუსტა, აჭარბებდა თუ არა დაწესებულება მოსწავლეთა ადგილების ზღვრულ ოდენობას, რაზეც ექსპერტმა განაცხადა, რომ ვიზიტის პერიოდში, გადაჭარბება იყო 34 მოსწავლე.

სხდომის თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, ისინი იცნობდნენ დასკვნას და განსხვავებული პოზიცია არ გააჩნდათ იქ დაფიქსირებულ გარემოებებზე.

საბჭოს წევრი, ნატო ქობულაძე, დაინტერესდა, იყო თუ არა სკოლაში ადაპტირებული გარემო.

ექსპერტის, მადონა ჩიხაშვილის, განცხადებით, სკოლაში იყო ადაპტირებული გარემო სსსმ მოსწავლეებისათვის.

ზვიად მიმინოშვილი დაინტერესდა, თუ რამდენი მასწავლებელი ჰყავდა სკოლას.

ექსპერტმა განაცხადა, რომ სკოლაში 21 მასწავლებელი იყო.

ზვიად მიმინოშვილი დაინტერესდა, როდის მოხდა შემტყობინება კონტინგენტის გაზრდის თაობაზე და რამ გამოიწვია გადაჭარბება.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, შეტყობინება გაკეთდა სასწავლო წლის დასაწყისში, ხოლო გადაჭარბება გამოიწვია მოთხოვნა, რომელიც მაღალი იყო რეგიონში.

ლაშა მკურნალიძე დაინტერესდა, თუ რატომ გადმოეცა სკოლას ინვენტარი სხვა სკოლის მიერ.

სკოლის წარმოამდგენლის განცხადებით, სკოლას ზედმეტი რაოდენობა დაუფიქსირდათ ინვენტარის და ეს გახდა მიზეზი გადმოცემის.

ექსპერტმა დაადასტურა, რომ ინვენტარი მოძველებული არ იყო.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა, პროგრამის თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ.

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, დაწესებულებას სურდა მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის გაზრდა 160 მოსწავლემდე.

სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ექსპერტს, იძლეოდა თუ არა სკოლის შენობის დაგეგმარება აღნიშნული რაოდენობის მოსწავლეთათვის ეფექტური მომსახურების გაწევის შესაძლებლობას.

ექსპერტის განცხადებით, ვიზუალური დათვალიერებით, აღნიშნული იყო შესაძლებელი. ამასთან, სკოლას ჰქონდა შესაბამისი მატერიალური რესურსიც, 135 ინდივიდუალური მერხი და დამატებით, 25 ინდივიდუალური მერხი - დასაწყობებული.

მაია მაღლაკელიძე დაინტერესდა, ჰყავდა თუ არა სკოლას ბიბლიოთეკარი, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სკოლას ბიბლიოთეკარი არ ჰყავდა.

შეკითხვაზე, როგორ ახერხებდა მოსწავლე ბიბლიოთეკით სარგებლობას, როდესაც მასწავლებლები გაკვეთილებზე იყვნენ, სკოლის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აღნიშნულ პერიოდში მოსწავლეებიც გაკვეთილებზე იყვნენ.

საბჭოს წევრებმა აღნიშნული პრობლემად მიიჩნიეს და ერთხმად განაცხადეს, რომ მოსწავლეს შესაძლოა სხვა აქტივობა ჰქონდეს განსახორციელებელი დღის განმავლობაში და ბიბლიოთეკით სარგებლობა უნდა იყოს შესაძლებელი მათთვის.

ლაშა მკურნალიძის განცხადებით, შესაძლებელი იყო კანონის ანალოგიის გამოყენება და სკოლას უნდა მიცემოდა 15-დღიანი ვადა აღნიშნული საკითხის მოსაგვარებლად. თუ სკოლა თანახმა იყო, მხოლოდ, აღნიშნულ შემთხვევაში შეეძლოთ ემჯელათ დადებით გადაწყვეტილებაზე.

სკოლის წარმომადგენლის განცხადებით, სკოლა საბჭოს მითითებას აუცილებლად გაითვალისწინებდა.

საბჭომ იმსჯელა შპს - ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულებების ქ. მარნეულის აღმაშენებლის სახელობის სკოლა–ლიცეუმისათვის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხზე.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულებების ქ. მარნეულის აღმაშენებლის სახელობის სკოლა–ლიცეუმისათვის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 7
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 33-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტის „ბ“ ქვეპინქტის, 331 მუხლის მე-3 პუნქტისა და 34-ე მუხლის მე-2 პუქნტის შესაბამისად, შპს - ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულებების ქ. მარნეულის აღმაშენებლის სახელობის სკოლა–ლიცეუმს (საიდენტიფიკაციო კოდი: 434159091) მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 160-ით.

2. **შპს - მჭევრის დამოუკიდებელი ბიზნეს სკოლისათვის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა**

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა შპს - მჭევრის დამოუკიდებელ ბიზნეს სკოლში ვიზიტის განმახორციელებელი საექსპერტო ჯგუფის წევრმა, ნოდარ ანგურიძემ და საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული გარემოებები.

ლაშა მკურნალიძე დაინტერესდა იყო თუ არა შენობა სკოლის საკუთრებაში.

ექსპერტის განმარტებით, სკოამ შეიძინა საჯარო სკოლა და მას საკუთრების უფლებით ფლობდა.

საბჭო დაინტერესდა აუდიტორის საკითხთან დაკავშირებით, რაზეც ნოდარ ანგურიძემ გააკეთა განაცხადი, რომ შენობის ინვენტარის აღწერა მიმდინარეობდა, რათა მომხდარიყო დეტალური გადაცემის აქტის შედგენა. აღნიშნული აუდიტორი დაქირავებული იყო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს რესურსცენტრის მიერ.

სხდომის თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, სკოლამ მომართა ცენტრს წერილით, რომლითაც მიმართავდა საბჭოს წევრებს. ამასთან, სკოლის წარმომადგენელმა საბჭოს წარუდგინა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის წერილი, რომლითაც სამინისტრო ადასტურებდა, რომ სამინისტრო არ იქნებოდა წინააღმდეგი მოძრავი ქონების გადაცემისა.

ლაშა მკურნალიძემ საბჭოს წევრებთან შეთანხმებით, დოკუმენტაციის გაცნობის მიზნით, გამოაცხადა შესვენება.

შესვენება გამოცხადდა 16:50 საათზე.

საბჭოს სხდომა განახლდა 17:00 საათზე.

ლაშა მკურნალიძის განცხადებით, წარმოადგენილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დაწესებულებისადმი მიწერილი კორესპონდეცია (2014 წლის 20 თებერვლის წერილი - MES 4 14 00095204), რომლის თანახმადაც, დაწესებულების 2013 წლის 22 ნოემბრის №02/137 წერილის პასუხად (სარეგისტრაციო №556318; 22. 11.13) და ისანი-სამგორის საგანმანათლებლო რესურსცენტრის 2013 წლის 9 ოქტომბრის №455461 წერილით წარმოდგენილი - რესურსცენტრისა და სსიპ - ქ. თბილისის №87 საჯარო სკოლის პოზიციების გათვალისწინებით, სამინისტრო, სახელმწიფო ქონების მესაკუთრის თანხმობის

შემთხვევაში არ იქნებოდა წინააღმდეგო კანონმდებლობის შესაბამისად სკოლას გადაცემოდა ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული მოძრავი ქონება.

ლაშა მკურნალიძის განმარტებით, წერილიდან ირკვეოდა, რომ სკოლა ფაქტობრივად ფლობდა იმ მოძრავ ქონებას, რომლის გადაცემის საკითხიც განიხილებოდა დაწესებულებასა და სამინისტროს შორის. ამასთან, საჯარო სკოლის შესყიდვის ხელშეკრულებით, სკოლას ჰქონდა ვალდებულება, რომ საგანმანათლებლო საქმიანობა განეხორციელებინა აღნიშნულ შენობაში.

თავმჯდომარის განცხადებით, ქონების განკარგვა ხდება საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს აქტით და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თანხმობით. სწორედ ამიტომ, მხოლოდ, სამინისტროს თანხმობა ვერ ჩაითვლებოდა საკმარისად, რომ ჩათვლილი ქონება დაწესებულების საკუთრებაში.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, უძრავ ქონებაზე საკუთრება დასტურდებოდა საჯარო რეესტრის ამონაწერით.

ლაშა მკურნალიძემ დააზუსტა, ჰქონდა თუ არა დაწესებულებას საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს თანხმობა მოძრავ ქონებაზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ასეთი თანხმობა სკოლას არ ჰქონდა. ამასთან, დასძინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აღნიშნულ თანხმობას სკოლა 5 თვე ელოდა, განსხვავებით ცენტრისა, რომელიც ოპერატიულად სცემდა სკოლას პასუხებს და უთითებდა განსახორციელებელი ქმედებების შესახებ.

ლაშა მკურნალიძს განცხადებით, თუ ადმინისტრაციულმა ორგანომ დაარღვია ვადა, სკოლას უნდა მიემართა სასამართლოსათვის. მისი აზრით, გამოსავალი იყო საკითხის განხილვის გადადება.

ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსის, ნანა ჭიღლაძის, განცხადებით, ცენტრს ჰქონდა მოლოდინი, რომ იქნებოდა საკითხის ამგვარი განხილვა. მისი განცხადებით, საკითხის საბჭოს სხდომის დღის წესრიგში ჩასმა გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ ცენტრს ეწურებოდა ადმინისტრაციული წარმოებისათვის დადგენილი ვადა.

ლაშა მკურნალიძემ საბჭოს წინაშე დასვა საკითხი, მომხდარიყო საკითხის განხილვის გადადება მაქსიმუმ 1 თვის ვადით.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - მჭევრის დამოუკიდებელი ბიზნეს სკოლისათვის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვის გადადება

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 7
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
გადაიდოს შპს - მჭევრის დამოუკიდებელი ბიზნეს სკოლისათვის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა 1 თვის ვადით.

საბჭოს წევრები შეთანხმდნენ, რომ რადგან შპს - მჭევრის დამოუკიდებელი ბიზნეს სკოლისათვის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა გადაიდო 1 თვის ვადით, უნდა მომხდარიყო აღნიშნული საკითხის განხილის გადადებაც ზემოაღნიშნული ვადით.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - მჭევრის დამოუკიდებელ ბიზნეს სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვის გადადება.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 7
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
გადაიდოს შპს - მჭევრის დამოუკიდებელ ბიზნეს სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა 1 თვის ვადით.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო ახალი დღის წესრიგი:

1. შპს - ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულებების ქ. მარნეულის აღმაშენებლის სახელობის სკოლა–ლიცეუმისათვის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა;
2. შპს - მჭევრის დამოუკიდებელი ბიზნეს სკოლისათვის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა;
3. შპს - მრავალდარგობრივი გიმნაზია იბერიაში (ს/კ №245437772) განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
4. შპს - ცოდნაში (ს/კ №229722324) განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
5. შპს - ფოთის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლაში (ს/კ №215128644) განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
6. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს ლანჩხუთის წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის სასულიერო გიმნაზიაში (ს/კ №233734082) განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
7. შპს - სპექტრი 95 ინგლისური ენის გაძლიერებული სწავლების დამოულიდებელ სკოლაში (ს/კ №212694645) განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
8. შპს - ეროვნულ სკოლა გიმნაზიაში (ს/კ №212836573) განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
9. შპს - ქუთაისის ეროვნულ სასწავლო უნივერსიტეტთან არსებულ კერძო სკოლაში (ს/კ №412691626) განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა.

3. შპს - მრავალდარგობრივი გიმნაზია იბერიაში (ს/კ №245437772) განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

მონიტორინგის ჯგუფის წარმომადგენლებმა საბჭოს წარუდგინა მონიტორინგის შედეგები და გააცნო დასკვნა.

სხდომის თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

1.1 სტანდარტთან დაკავშირებით, სკოლის წარმომადგენლებმა საბჭოს სხდომაზე წარმოადგინეს გამოსწორების დოკუმენტაცია.

ლაშა მკურნალიძის განცხადებით, თუ სკოლას ჰქონდა გამოსწორების დოკუმენტაცია, იგი საბჭოს სხდომამდე უნდა წარედგინა მონიტორინგის სამსახურისათვის, რადგან საბჭოს სხდომაზე არ იყო მათი გადამოწმების რესურსი.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, დოკუმენტი ეხებოდა კამერების შესყიდვასა და წარმოდგენილი იყო ფოტომასალა მათი დამონტაჟების დასტურად.

სხდომის თავმჯდომარის განცხადებით, აღნიშნული დოკუმენტის გადამოწმება შესაძლებელი იყო საბჭოს სხდომის ფორმატში.

სკოლის წარმომადგენელმა საბჭოს წარუდგინა ხელშეკრულება, რომელიც გაფორმებული იყო სტანდიონის სარგებლობასთან დაკავშირებით.

ზვიად მიმინოშვილი დაინტერესდა რა მანძილით იყო დაშორებული სტადიონი და სკოლა.

დაწესებულების წარმოამდგენლის განცხადებით, დაახლოებით 3-5 წუთის ხანგრძლივობის სავალი გზა იყო. ამასთან, საბჭოს სხდომაზე დაწესებულებამ წარმოადგინა სპორტის სახეობის დამატების თაობაზე ბრძანება და შესაბამისი ინვენტარის შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, საკლასო ჟურნალების მიღება-ჩაბარების აქტები და გრიფირებული სახელმძღვანელოების ფლობის დამადასტურებელი მასალა.

მონიტორინგის სამსახურის თანამშრომლის, გაბრიელ პოსოხოვის, განცხადებით, დოკუმენტების სიმრავლე მოითხოვდა დროს მათ გადასამოწმებლად.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, წარმოდგენილი იქნა, აგრეთვე, შინაგანაწესი და ბრძანებების სარეგიოსტრაციო ჟურნალები.

ლაშა მკურნალიძის განცხადებით, საკმაოდ ბევრი მასალა იყო წარმოდგენილი დაწესებულების მიერ. ნაწილი მათგანი შინაარსობრივად უნდა შემოწმებულიყო, ხოლო ნაწილის შემოწმება ტექნიკურად იყო შესაძლებელი. მისი განცხადებით, უპრიანი იქნებოდა განსაზღვრულიყო 15-დღიანი ვადა ხარვეზების გამოსასწორებლად, დაწესებულებას

წარედგინა დოკუმენტაცია მონიტორინგის სამსახურისათვის და შესწავლის შედეგად, წარმოდგენილი ყოფილიყო შედეგები.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, სკოლა მადლობელი იყო იმ კონკრეტული მითითებების მიცემისათვის, რომელიც მონიტორინგის ჯგუფმა დასკვნაში დააფიქსირა.

ლაშა მკურნალიძის განცხადებით, მონიტორინგის ჯგუფისა და საბჭოს ფუნქციონირების ერთ-ერთი უმთავრესი დანიშნულება, სწორედ, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის ხელის შეწყობა იყო.

საბჭომ იმსჯელა ავტორიზაციის სტანდარტებთან შპს - მრავალდარგობრივი გიმნაზია იბერიას შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ მიზანშეწონილი იქნებოდა ხარვეზების სრულად აღმოფხვრის მიზნით დაწესებულებისათვის 15-დღიანი ვადის განსაზღვრა.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე შპს - მრავალდარგობრივი გიმნაზია იბერიაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვის გადადების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 7
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 30-ე მუხლის მე-4 შესაბამისად, გადაიდოს შპს - მრავალდარგობრივი გიმნაზია იბერიაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა და გამოვლენილი ხარვეზების გამოსასწორებლად განესაზღვროს 15 დღის ვადა.

4. შპს - ცოდნაში (ს/კ №229722324) განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

მონიტორინგის ჯგუფის წარმომადგენლებმა საბჭოს წარუდგინა დასკვნა და გააცნო მონიტორინგის შედეგები.

ლაშა მკურნალიძე დაინტერესდა, თუ რამდენი მასწავლებელი ჰყავდა სკოლას.

გაბრიელ პოსოხოვის განცხადებით სკოლაში 19 პედაგოგი იყო.

სხდომის თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენლების განცხადებით, ისინი ეთანხმებოდნენ ყველა შენიშვნას. მათი განცხადებით, პრობლემა ჰქონდათ დოკუმენტაციის წარმოდგენასთან დაკავშირებით, რადგან 14 დეკემბერს სკოლაში გაჩნდა ხანძარი.

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა, ეთანხმებოდა თუ არა დაწესებულება იმ რეალობას, რაც დასკვნაში იყო ასახული.

სკოლის წარმომადგენლების განცხადებით, დასკვნაში ასახული ინფორმაციას ეთანხმებოდნენ.

საბჭოს წევრები დაინტერესდნენ, თუ რა მასშტაბის იყო ხანძარი.

სკოლის წარმომადგენლის განცხადებით, დაიწვა 1 საკლასო ოთახი, სამასწავლებლო და დირექტორის ოთახი. ამასთან, განადგურდა დოკუმენტაციის დიდი ნაწილი. მისი განცხადებით, სკოლამ რესურს-ცენტრს გადასცა იმ დოკუმენტაციის ნუსხა, რომლებიც გადადგურდა, მათ, აგრეთვე, სთხოვეს აღნიშნული ფაქტი შეეტყობინებინათ ცენტრისათვის.

მონიტორინგის სამსახურმა დაადასტურა, რომ ისინი იცნობდნენ რესურს-ცენტრის წერილს.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, მათ წარმოადგინეს სასწავლო გეგმა, სადაც გამოსწორებული იქნა ყველა ხარვეზი. ამასთან, მათი განცხადებით, დაწესებულებამ აღჭურვა ბიბლიოთეკა შესაბამისი წიგნებით.

ლაშა მკურნალიძე დაინტერესდა, თუ რატომ არ იყო ბიბლიოთეკა წიგნებით აღჭურვილი მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტის დროს.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, მათ გააფორმებს შესაბამისი დოკუმენტაცია და ხარვეზი აღმოფხვრილი იყო.

გაბრიელ პოსოხოვის განცხადებით, დასკვნის დაწერის მომენისათვის არსებული რეალობა იქნა ასახული, ხოლო დაწესებულებას რაიმე დოკუმენტაცია არ მოუწოდებია მონიტორინგის სამსახურისათვის.

ლაშა მკურნალიძე დაინტერესდა, თვლიდა თუ არა სკოლა, რომ ყველა ხარვეზი იყო აღმოფხვრილი.

სკოლის წარმოამდგენლის განცხადებით, ისინი ბრძანებების წიგნის აღდგენაზე მუშაობდნენ.

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა თუ 2011 წელს დაწესებულებას ჰქონდა ვებ გვერდი, 2013 წლის დეკემბერში რატომ აღარ ფუნქციონირებდა იგი.

სკოლის წარმოამდგენლის განცხადებით, ვებ გვერდი დამუშავების პროცესში იყო, რომელიც არ დასრულებულა.

გაბრიელ პოსოხოვის განცხადებით, მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტის მიმდინარეობისას დაწესებულებასთან კომუნიკაცია აქტიურად მიმდინარეობდა და თანამშრომლობითი იყო. თუმცა, მისი განცხადებით, შენობა იყო სარემონტო და მათ მიერ იქ მუშაობა დასაფასებელი იყო.

ლაშა მკურნალიძის განცხადებით, სკოლა უნდა პასუხობდეს ავტორიზაციის სტანდარტებს. ვებ გვერდი ყველაზე მარტივად გასასწორებელი ხარვეზი იყო და დაინტერესდა, თუ რატომ არ მოხდა მისი ამუშავება. ამასთან, დასძინა, რომ თუ სკოლაში მძიმე სიტუაციაა, პირველ რიგში მოსწავლეების ინტერესები უნდა ყოფილიყო დაცული.

ლაშა მკურნალიძე დაინტერესდა, წარმოადგინა თუ არა სკოლამ სადამრიგებლოსთან დაკავშირებულ ხარვეზთან დაკავშირებული დოკუმენტაცია და დააზუსტა, თუ რატომ არ ისწავლებოდა რეგლიგია.

სკოლის წარმომადგენლის განცხადებით, დოკუმენტაცია აღნიშნულ ხარვეზზე არ ჰქონდათ წარმოდგენილი, ხოლო რელიგიის სწავლება მასწავლებლის არჰყოლის გამო ვერ ხერხდებოდა.

თავმჯდომარის განცხადებით, საგანი, რომელიც არ ისწავლება ცხრილში არ უნდა ყოფილიყო მითითებული. იგი დაინტერესდა ხანძარის გამო საშიში ხომ არ იყო სკოლის შენობაში ყოფნა და ამ ფაქტმა ხომ არ გამოიწვია საკლასო ოთახების შემცირება.

სკოლის წარმომადგენლის განცხადებით, ხანძარის შემდეგ 1 კვირა იყო დარჩენილი სასწავლო პროცესის დასრულებამდე და ამ პერიოდში კლასის გადაყვანა მოხდა სხვა ოთახში.

საბჭოს წევრები დაინტერესდნენ, ჰქონდა თუ არა დაწესებულებას პანდუსი, რაზეც სკოლის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სკოლას პანდუსი არ ჰქონია.

საბჭოს წევრები დაინტერესდნენ, თუ სკოლას პანდუსი არ ჰქონდა, როგორ მოიპოვა ავტორიზაცია.

ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსის განცხადებით, ავტორიზაციის საბჭოს ოქმში ფიქსირდება, რომ სკოლას შეძენილი ჰქონდა მასალა პანდუსის დასამონტაჟებლად და საბჭომ, გაითვალისწინა რა ეს გარემობა, ენდო სკოლას, რომ ისინი სასწავლო პროცესის დაწყებამდე აღნიშნულ საკითხს აღმოფხვრიდნენ.

საბჭომ იმსჯელა ავტორიზაციის სტანდარტებთან შპს - მრავალდარგობრივი გიმნაზია იბერიას შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ მიზანშეწონილი იქნებოდა ხარვეზების სრულად აღმოფხვრის მიზნით დაწესებულებისათვის 15-დღიანი ვადის განსაზღვრა.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე შპს - ცოდნაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვის გადადების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 7
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 30-ე მუხლის მე-4 შესაბამისად, გადაიდოს შპს - მრავალდარგობრივი გიმნაზია იბერიაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა და გამოვლენილი ხარვეზების გამოსასწორებლად განესაზღვროს 15 დღის ვადა.

შესვენება გამოცხადდა - 18:23 საათზე;

სხდომა განახლდა - 19:00 საათზე.

5. შპს - ფოთის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლაში (ს/კ №215128644) განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

მონიტორინგის ჯგუფის წარმომადგენლებმა საბჭოს წარუდგინა მონიტორინგის შედეგები და გააცნო დასკვნა. გაბრიელ პოსოხოვმა განაცხადა, რომ სკოლაში დაფიქსირდა, მხოლოდ, ერთი ხარვეზი, რომლის დასკვნის მომზადების დროს უკვე გამოასწორა სკოლამ. კერძოდ, დაწესებულებაში არ იყო ადაპტირებული სველი წერტილი, არ იყო დამონტაჟებული სახელური.

საბჭოს წევრი, ნატო ქობულაძე, დაინტერესდა ხომ არ ჰქონდათ ფოტომასალა სველი წერტილის.

მოხდა ფოტომასალის საბჭოს სხდომაზე გაცნობა.

საბჭოს წევრები დაინტერესდნენ სველი წერტილის კარის ჭრილის ზომა თუ იყო საკმარისი ეტლით სამოძრაოდ.

ექსპერტმა დაადასტურა, რომ კარის პარამეტრი საკმარისი იქნებოდა ეტლით შესასვლელად.

ლაშა მკურნალიძემ დააზუსტდა 2.1 პუნქტში დაფიქსირებულ გარემოება.

დირექტორის განცხადებით, რემონტის შედეგად, სკოლაში დაზიანდა გარეული რაოდენობის დასაწყობებული მერხები და მოხდა ახლების შეძენა და ჩანაცვლება.

თავმჯდომარე დაინტერესდა, სტრატეგიული გეგმის შესაბამისად, სკოლა პერიოდულად ანახლებდა თუ არა ინვენტარს, რაც სკოლის წარმომადგენელმა დაადასტურა.

გაბრიელ პოსოხოვმა განაცხადა, რომ სკოლის შენობა იყო ახალი გარემონტებული, კარგად მოწყობილი და ინვენტარიც ახალი იყო.

საბჭოს წევრების განცხადებით, იგრძნობოდა, რომ სკოლა მუდმივად ზრუნავდა განვითარებაზე.

პავლე თვალიაშვილი დაინტერესდა, თუ რატომ იყო გათიშული დაწესებულების ვებ გვერდი.

სკოლის დირექტორის განცხადებით, ოფიციალურად მიიღო სკოლამ წერილი, რომ სილქნეტს ჰქონდა დაზიანება და უახლოეს დღეებში განახლდებოდა მისი ფუნქციონირება.

მონიტორინგის ჯგუფმა დაადასტურა, რომ ვიზიტის მიმდინარეობისას ვენ გევრდი ფუნქციონირებდა.

საბჭომ იმსჯელა ავტორიზაციის სტანდარტებთან შპს - ფოთის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ სტანდარტები დაკმაყოფილებული იყო.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ფოთის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლისათვის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 0
წინააღმდეგი - 7

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტარციული წარმოება შპს - ფოთის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

6. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს ლანჩხუთის წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის სასულიერო გიმნაზიაში (ს/კ №233734082) განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

მონიტორინგის ჯგუფის წარმომადგენლებმა საბჭოს წარუდგინა მონიტორინგის შედეგები და გააცნო დასკვნა.

2.4 პუნქტში დაფიქსირებულ ხარვეზთან დაკავშირებით, ლაშა მკურნალიძემ დააზუსტა, თუ რამდენსართულიანია სკოლის შენობა.

სკოლის დირექტორის განცხადებით, სკოლა იყო 2-სართულიანი.

საბჭოს წევრები დაინტერესდნენ სველ წერტილში იყო თუ არა მოხვედრა შესაძლებელი. ექსპერტებმა დაადასტურეს, რომ აღნიშნული იყო შესაძლებელი.

სკოლის წარმომადგენლების განცხადებით, სკოლამ, აგრეთვე, შეიძინა სამედიცინო პრეპარატები და შეიმუშავა მექანიზმები.

ნატო ქობულაძე დაინტერესდა, ჰყავდა თუ არა სკოლას სსსმ მოსწავლე და რომელიმე ეტლით ხომ არ სარგებლობდა.

სკოლის დირექტორის განცხადებით, სკოლაში ეტლითმოსარგებლე მოსწავლე არ იყო, თუმცა სკოლაში იყვნენ ბავშვთა სახლის აღსაზრდელები, რომლებსაც სპეციალური სწავლება სჭირდებოდათ. ეს უკანასკნელნი შეფასებულები იყვნენ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ. ამასთან, სკოლას ჰყავდა კოორდინატორი, რომელსაც ჰქონდა მუშაობის გამოცდილება სპეციალურ დაწესებულებებში.

ლაშა მკურნალიძე დაინტერესდა პანდუსი სკოლამ თავისი ძალებით გააკეთა თუ არა, რაზეც სკოლის დირექტორმა განაცხადა, რომ პანდუსი პირადი ძალებით იქნა დამზადებული.

პავლე თვალიაშვილის განცხადებით, სკოლას ჰქონდა ვებ გვერდზე ინფორმაციის განახლების პრობლემა.

დირექტორის განცხადებით, სკოლა აქტიურად იყენებდა სკოლის facebook-ის გვერდს.

პავლე თვალიაშვილის განცხადებით, კარგი იქნებოდა თუ facebook-ის ბმულს დადებდნენ ვებ გვერდზე.

საბჭომ იმსჯელა ავტორიზაციის სტანდარტებთან ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს ლანჩხუთის წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის სასულიერო გიმნაზიის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ სტანდარტები დაკმაყოფილებული იყო.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს ლანჩხუთის წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის სასულიერო გიმნაზიისათვის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 0
წინააღმდეგი - 7

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტარციული წარმოება ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს ლანჩხუთის წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის სასულიერო გიმნაზიის ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

სხდომა დატოვა საბჭოს წევრმა ნატო ქობულაძემ.

სხდომის მდივნობა დაევალა მაია მაღლაკელიძეს.

7. შპს - სპექტრი 95 ინგლისური ენის გაძლიერებული სწავლების დამოულიდებელ სკოლაში (ს/კ №212694645) განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

საბჭოს სხდომაზე არ გამოცხადდა სკოლის წარმოამდგენელი.

თავმჯდომარემ მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, იყო თუ არა რაიმე შუამდგომლობა შემოსული, რაზეც ცენტრის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ არ იყო შემოსული შუამდგომლობა. ამასთან, დააზუსტა, რომ დღის წესრიგი იყო გამოქვეყნებული ცენტრის ოფიციალურ ვებ გვერდზე საბჭოს სხდომამდე 1 კვირით ადრე, შესაბამისად, ხელმისაწვოდომი იყო აღნიშნული ინფორმაცია მათთვის, ამასთან, ინდივიდუალურად მოხდა დაწესებულების საბჭოს სხდომაზე მოწვევა წერილის გაგზავნის გზით.

გაბრიელ პოსოხოვის განცხადებით, დასკვნის სიმძიმიდან გამომდინარე, დაწესებულების წარმომადგენლის დასწრება/არ დასწრების ფაქტი რეალურ სურათს ვერ შეცვლიდა.

გიორგი ელისაბედაშვილის განცხადებით, პირველი მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტის დროს იყო დაძაბული ფონი და იძულებული გახდა ცენტრი შეეწყვიტა ვიზიტი დაწესებულებაში. დაწესებულებამ ცენტრში არ გამოაგზავნა თვითშეფასები ანგარიში ზედიზედ 2 წლის განმავლობაში, შესაბამისად, აღნიშნული გახდა მიზეზი მონიტორინგის ახალი ვიზიტისა. აღნიშნული დასკვნაში შეინიშნება სისხლის სამართლებრივი დანაშაულის ნიშნები და მასალა მზადდება საქართველოს პროკურატურაში გადასაგზავნად. მისი განცხადებით, ხარვეზები გამოუსწორებელი ხასიათისაა და სწორედ ამას გულისხმობდა გაბრიელ პოსოხოვი.

საბჭოს წევრები შეთანხმდნენ, რომ დასკნის სირთულიდან გამომდიმარე, აუცილებელი იქნებოდა დაწესებულების წარმომადგენლის მოსაზრებების მოსმენა.

მოხდა დაწესებულების წარმომადგენელთან ტელეფონით დაკავშირება. მისი განცხადებით, მოწვევის წერილი მას არ ჩაბარებია.

თავმჯდომარის განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ დღის წესრიგი გამოქვეყნებული იყო 1 კვირით ადრე, უმჯობესი იქნებოდა დაწესებულების წარმომადგენელის დასწრებით მომხდარიყო საკითხის განხილვა.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - სპექტრი 95 ინგლისური ენის გაძლიერებული სწავლების დამოულიდებელ სკოლაში (ს/კ №212694645) განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვის გადადება.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

გადაიდოს შპს - სპექტრი 95 ინგლისური ენის გაძლიერებული სწავლების დამოულიდებელ სკოლაში (ს/კ №212694645) განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა მომდევნო საბჭოს სხდომამდე.

8. შპს - ეროვნულ სკოლა გიმნაზიაში (ს/კ №212836573) განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

საბჭოს სხდომაზე არ გამოცხადდა სკოლის წარმოამდგენელი.

აღნიშნულ სკოლასთან ვერ მოხერხდა სატელეფონო დაკავშირება.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ეროვნულ სკოლა გიმნაზიაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვის გადადება.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

გადაიდოს შპს - ეროვნულ სკოლა გიმნაზიაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა მომდევნო საბჭოს სხდომამდე.

9. შპს - ქუთაისის ეროვნულ სასწავლო უნივერსიტეტთან არსებულ კერძო სკოლაში (ს/კ №412691626) განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

მონიტორინგის ჯგუფის წარმომადგენლებმა საბჭოს წარუდგინა მონიტორინგის შედეგები და გააცნო დასკვნა.

გაბრიელ პოსოხოვის განცხადებით, მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტის საფუძველს წარმოადგენდა წინამდებარე საბჭოს დავალება, გადამოწმებულიყო კონკრეტული სტანდარტების ინდიკატორების დაკმაყოფილების ფაქტი. დასკვნაში ხარვეზი არ იყო დაფიქსირებული.

ლაშა მკურნალიძე დაინტერესდა ბიბლიოთეკის გამთავსებამ ხომ არ იქონია გავლენა სასკოლო ცხოვრებაზე.

ამირან აფციაურის განცხადებით, სკოლას ჯერ-ჯერობით მოსწავლეები არ ყავდა შესაბამისად, სასკოლო ცხოვრება ჯერ არ ჰქონდა დაწყებული დაწესებულებას.

საბჭომ იმსჯელა ავტორიზაციის სტანდარტებთან შპს - ქუთაისის ეროვნულ სასწავლო უნივერსიტეტთან არსებულ კერძო სკოლის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ სტანდარტები დაკმაყოფილებული იყო.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ქუთაისის ეროვნულ სასწავლო უნივერსიტეტთან არსებულ კერძო სკოლისათვის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 6

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტარციული წარმოება შპს - ქუთაისის ეროვნულ სასწავლო უნივერსიტეტთან არსებულ კერძო სკოლის ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდგომ, სხდომა დახურულად გამოცხადდა 19:56 საათზე.

თავმჯდომარე
ლაშა მკურნალძე

მდივანი
ნატო ქობულაძე

მდივანი
მაია მაღლაკელიძე